

დეკემბერი, 2025 კლიმატური დახასიათება

დეკემბრის პირველ ნახევარში ამინდს საქართველოში, ძირითადად, განაპირობებდა სამხრეთიდან თბილი ჰაერის მასების გადმოტანის ფონზე ხმელაშუაზღვიური ციკლონების აქტივობა, რასაც უკავშირდებოდა თბილი ამინდები, პერიოდულად ნალექიანი ეპიზოდებით, ხოლო თვის ბოლოს ტემპერატურის მკვეთრ დაცემას და ძლიერი ინტენსივობის ნალექებს ადგილი ჰქონდა არქტიკული ჰაერის მასების შავი ზღვის ჩრდილო-დასავლეთიდან გავრცელების შედეგად.

დეკემბერში ჰაერის თვის საშუალო ტემპერატურა ქვეყნის ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე ნორმის ფარგლებში ან ნორმაზე მეტი აღინიშნა (ნახ.1). ტემპერატურის გადახრამ მრავალწლიური ნორმიდან საშუალოდ $+1.1^{\circ}\text{C}$ შეადგინა, უდიდესი დადებითი გადახრებით ($+2.5^{\circ}\text{C}$ -მდე) ქვეყნის ცენტრალურ რაიონებში: შიდა ქართლის ვაკეზე და ჯავახეთის ზეგანზე. ტემპერატურის უარყოფითი გადახრები (-0.5°C -მდე) ქვეყნის დასავლეთში, ცალკეულ დაბლობ რაიონებში დაიკვირვებოდა.

თვის საშუალო ტემპერატურა შავი ზღვის სანაპიროსა და კოლხეთის დაბლობზე $+7$, $+11^{\circ}\text{C}$, დასავლეთის მთიან რაიონებში და აღმოსავლეთის ვაკე ტერიტორიაზე $+3$, $+6^{\circ}\text{C}$ ხოლო დანარჩენ მთიან და მაღალმთიან ნაწილში -2 , $+3^{\circ}\text{C}$ -ის ფარგლებში აღინიშნა.

ჰაერის ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმები ქვეყნის უმეტეს რაიონებში თვის პირველ დეკადაში, ხოლო ზემო იმერეთსა და ლიხის ქედის დასავლეთ კალთებზე, ძირითადად, თვის ბოლოს (20-23 დეკემბერი) დაფიქსირდა. მრავალწლიური სიდიდეების გადაფარვას დეკემბრის თვეში ადგილი არ ქონია. ტემპერატურამ ყველაზე მაღალ მაჩვენებლებს $+19$, $+21^{\circ}\text{C}$ -ს შავი ზღვის სანაპირო ზოლში და კოლხეთის დაბლობზე მიაღწია.

დეკემბერში ყველაზე დაბალი ტემპერატურები თვის მესამე დეკადაში, უმეტესად თვის ბოლო რიცხვებში აღინიშნა, როდესაც აბს. მინიმუმები მთიან და ასევე, ქვეყნის ცენტრალურ ვაკე რაიონებშიც -10 , -14°C -მდე, ხოლო მაღალ მთაში ზოგან -20 , -24°C -მდე დაეცა.


ნალექების რაოდენობის მიხედვით, დეკემბრის თვე, ძირითადად, ნორმის მახლობელი ან უფრო მაღალი ნალექიანობით ხასიათდებოდა. ნალექების გარკვეული დეფიციტი (საშუალო მრავალწლიური მნიშვნელობის 60-70%) აღინიშნა მხოლოდ ცალკეულ მთიან რაიონებში (ნახ.2).

ყველაზე მომატებული ნალექიანობა აღინიშნა ქვეყნის მთათაშორის ზოლში (ფოთიდან თბილისამდე), ნორმალურ მნიშვნელობებთან შედარებით დაახლოებით 2-ჯერ მეტი ნალექით ქართლის ბარში და სამცხე-ჯავახეთის მთიან რაიონებში და 2.5-3.0-ჯერ მაღალი ნალექების თვის ჯამებით ზღვისპირა რაიონებში, სადაც ქვეყნის ფარგლებში ნალექების მაქსიმალური რაოდენობა (340-470 მმ) მოვიდა. ყველაზე მშრალი პირობები (20-30 მმ) აღმოსავლეთ საქართველოში: ქვემო ქართლის, კახეთის და მცხეთა-მთიანეთის ცალკეულ რაიონებში დაიკვირვებოდა.


როგორც ჩანს, მიმდინარე წლის დეკემბრის თვეში ნორმაზე მაღალი ნალექიანობა განპირობებული იყო, ძირითადად, ნალექიან დღეთა სიხშირით, თუმცა უმეტესად თვის ბოლო რიცხვებში ადგილი ჰქონდა უხვნალექიან ეპიზოდებსაც.

26-30 დეკემბერს დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ადგილი ჰქონდა არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ მოვლენებს, როდესაც დაბლობ ტერიტორიაზე უხვი ატმოსფერული ნალექი (უმეტესად თოვლის სახით), შავი ზღვის სანაპირო ზოლში შტორმული დელტა, ხოლო ცალკეულ მთიან რაიონებში ძლიერი თოვა და ქარბუქი აღინიშნა. მათ შორის, დიდთოვლობას ჰქონდა ადგილი აჭარის, იმერეთის და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში. ასევე, აღსანიშნავია ძლიერი ინტენსივობის ნალექების შემთხვევები ბათუმში და ქობულეთში (წვიმის სახით) და ქუთაისში (თოვლის სახით), როდესაც აღნიშნულ 5-დღიან პერიოდში ნალექების თვის კლიმატური ნორმის 60-80% (110-190 მმ) მოვიდა, ხოლო ფოთში (წვიმის სახით) მოსული ნალექების რაოდენობამ თვის ნორმას 1.5-ჯერ გადააჭარბა. ამასთან, უკანასკნელ 70-წლიან პერიოდში, დაწყებული 1956 წლიდან, 26-30 დეკემბერს ფოთში დაფიქსირებული ნალექების როგორც 5-დღიური რაოდენობა (240 მმ), ისე დღეღამური მაქსიმუმი (100 მმ), დეკემბრის თვისთვის წარმოადგენს რეკორდულ მაჩვენებელს.

რთული მეტეოროლოგიური პირობების (ქარბუქი, შეზღუდული ხილვადობა) და ცალკეულ ტერიტორიებზე ზვავსაშიშროების გამო, საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სავტომობილო გზების გარკვეულ მონაკვეთებზე შეიზღუდა ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა. დიდთოვლობამ შეზღუდვები გამოიწვია ასევე ელექტროენერჯის მიწოდებაში, რამაც შეაფერხა სარკინიგზო მოძრაობა. დაზიანდა ელექტროგადამცემი ხაზები და ინფრასტრუქტურა. ადგილობრივი მასმედიის ცნობით, აჭარის სანაპირო ზოლში შტორმის და ძლიერი ქარის შედეგად დაზიანდა საცხოვრებელი სახლები.



ნახ.1. დეკემბრის თვის ჰაერის საშუალო ტემპერატურის ანომალიები საბაზისო პერიოდთან (1991-2020 წ.წ.) მიმართებაში



ნახ.2. ატმოსფერული ნალექების დეკემბრის თვის ჯამების ანომალიები პროცენტებში საბაზისო პერიოდთან (1991-2020 წ.წ.) მიმართებაში